

## ი უ ბ ი ლ ე ე ბ ი

### ვულოცავთ დაბადების დღეს გეოფიზიკის ინსტიტუტის იუბილარებს

მიმდინარე წელს 80 წელი შეუსრულდა გამოყენებითი და ექსპერიმენტალური გეოფიზიკის სექტორის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს თამაზ გვანცელაძეს, 75 წელი შეუსრულდათ: ზღვის დინამიკისა და ატმოსფეროს მოდელირების სექტორის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ალექსანდრე სურმავას და ატმოსფეროს ფიზიკის სექტორის უფროს მეცნიერ თანამ-შრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს დარეჯან კირკიტაძეს; 70 წელი შეუსრულდა სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს ოთარ ვარაზანაშვილს. იუბილარებს ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამეცნიერო საქმიანობაში.

**თამაზ გვანცელაძე** - ფიზ.-მათ. მეცნ. აკადემიური დოქტორი. დაიბადა 1940 წელს. 1965 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრის გამოყენებითი გეოფიზიკის განყოფილებაში. 1977 წლიდან გადმოყვანილია გეოფიზიკის ინსტიტუტის ახლადშექმნილ გამოთვლითი გეოფიზიკის განყოფილებაში ინჟინერ-პროგრამისტის თანამდებობაზე. 1984 წლიდან გრავიმეტრიის განყოფილების თანამშრომელია, სადაც ამუშავეს მეთოდუკას და ალგორითმს ლითოსფეროს გრავიტაციული მოდელის შესაქმნელად. კავკასიაში ლითოსფეროს შესწავლის მიზნით თ. გვანცელაძეს დამუშავებული აქვს გრავი-სეისმური მოდელირების მეთოდუკა. 1990 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გრავი-სეისმური მოდელირების მეთოდუკა და კავკასიის ლითოსფეროს აგებულება მეცხრე გეოტრავერსის გასწვრივ“. გამოყენებითი და ექსპერიმენტალური გეოფიზიკის სექტორში მის სამეცნიერო ინტერესთა სფეროს წარმოადგენს გრავიმეტრიის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების ამოხსნა.

**ალექსანდრე სურმავა** - ფიზ.-მათ. მეცნ, დოქტორი, ცნობილი სპეციალისტია ატმოსფეროს ფიზიკის, გეოფიზიკური ეკოლოგიისა და გარემოს გაჭუჭყიანების მონიტორინგის საკითხებში. დაიბადა 1945 წელს. 1963 წელს დაამთავრა თბილისის 22-ე საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე, ხოლო 1969 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი სპეციალობით „თეორიული ფიზიკა“. 1972-1975 წლებში ის ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გამოთვლითი ცენტრის (ქ. ნოვოსიბირსკი) ასპირანტია. 1978 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ა. სურმავა მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიის

ინსტიტუტში ლაბორატორიის გამგის, წამყვანი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობებზე. იყო გარემოს გაჭუჭყიანების კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი. ა. სურმავა 1989 წლიდან გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელია. ამჟამად ის ზღვის დინამიკისა და ატმოსფეროს მოდელირების სექტორის მთავარი მეცნიერი თანამშრომელია. 2005 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საშუალო მასშტაბის ატმოსფერული პროცესების განვითარების თეორიული გამოკვლევა და ზოგიერთი ეკოლოგიური ამოცანის ამოხსნა“. ა. სურმავას მიერ დამუშავებულია შემდეგი რიცხვითი მოდელები: ატმოსფერული ფრონტის და ატმოსფერული ფრონტალური ტალღების ბაროტროპული და ბაროკლინური რიცხვითი მოდელები; კავკასიის რთული რელიეფისა და საქართველოს რეგიონების მეზომასშტაბურ ატმოსფერულ პროცესებზე გავლენის მოდელები; კავკასიასა, საქართველოში და ქ. თბილისში მტვრის რეგიონალური და ლოკალური გადატანის მოდელები; საქართველოს მდინარეებში და ნიადაგში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გავრცელების მოდელები. ა. სურმავას მიერ დამუშავებულია ქალაქების თბილისისა და რუსთავის ჰაერის გაჭუჭყიანების პროგნოზის სტატისტიკური მეთოდი, რომელიც დაინერგა და მისი საშუალებით 1987-1990 წლებში ხორციელდებოდა ამ ქალაქების ჰაერის გაჭუჭყიანების ოპერატიული პროგნოზი. ა. სურმავა ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. ის არის ბუნების დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. საზოგადოებრივი ექსპერტი. მას გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

**დარეჯან კირკიტაძე** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ატმოსფეროს ფიზიკის სექტორის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი სპეციალობით „ბირთვული ფიზიკა“. იმავე წლიდან მუშაობს გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ფიზიკის განყოფილებაში. 2005 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ატმოსფეროს აეროზოლური გაჭუჭყიანების მახასიათებლების გამოკვლევა ქ. თბილისში“. 2005-2007 წლებში ეკავა ინსტიტუტის სწავლული მდივნის თანამდებობა. ამჟამად არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივანი.

დ. კირკიტაძის სამეცნიერო კვლევების სფეროა: ბუნებრივი და ანტროპოგენული ატმოსფერული მახასიათებლების და მოვლენების შესწავლა, ატმოსფერული პროცესების ექსპერიმენტული მოდელირება, ეკოლოგია, ის მონაწილეობას ღებულობდა და ღებულობს რამდენიმე ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დამუშავებაში ატმოსფეროსა და ღრუბლების ფიზიკის დარგში.

**ოთარ ვარაზანაშვილი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. დაიბადა 1950 წელს ქ. თბილისში. 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და ამავე წლიდან გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონული სეისმოლოგიის განყოფილების თანამშრომელია. 1979 წელს გამოჩენილი რუსი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის პროფესორ ნ. შებალინის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ძლიერი მიწისძვრების კერის ზონები კავკასიის სეისმური დარაიონების ამოცანებში“. წლების განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა სეისმური საშიშროების ლაბორატორიას. ო. ვარაზანაშვილს შესრულებული აქვს სამუშაოები, რომლებიც პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის. ასეთებია: საქართველოს უმნიშვნე-

ლოვანესი ობიექტების მშენებლობის ტერიტორიების დეტალური სეისმური შეფასება; 1981-2018 წლებში მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ჩატარებული სამუშაოები საქართველოს დიდი ქალაქების და ჰესების მშენებლობის მოედნების, წყალსაცავების, რკინიგზის მაგისტრალების, ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის ტერიტორიების და მრავალი სხვა ობიექტების სეისმური საშიშროების დასადგენად. ო. ვარაზანაშვილი რეგიონული სეისმოლოგიის განყოფილებაში ჩატარებული შემდეგი გამოკვლევების მონაწილეა: ძლიერი მიწისძვრების პროგნოზის პრობლემები, სეისმური დარაიონების რუკების შედგენა, ისტორიული მიწისძვრების შესწავლა და სხვა. ამჟამად ო. ვარაზანაშვილი სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორის მთავარი მეცნიერ თანამშრომელია. სექტორში ემსახურება კვლევის ახალ მიმართულებას - ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების და რისკის შეფასება. ო. ვარაზანაშვილის მიერ პირველად არის დამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი კატასტროფების მსგავსობისა და პარამეტრული უნიფიცირების თეორიული საკითხები, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული 12 ტიპის ბუნებრივი კატასტროფების პარამეტრული კატალოგების შექმნა და მათ ბაზაზე მრავლობითი რისკებს გათვლა ნაციონალურ დონეზე.

## Ю Б И Л Е И

### ПОЗДРАВЛЯЕМ ЮБИЛЯРОВ ИНСТИТУТА ГЕОФИЗИКИ С ДНЕМ РОЖДЕНИЯ

Поздравляем сотрудников Института геофизики им. М.З. Нодиа академического доктора физ.-мат. наук Т.А. Гванцеладзе, доктора физ.-мат. наук А.А. Сурмава, академических докторов физ.-мат. наук Д.Д. Киркитадзе и О.Ш. Варазанашвили с днем рождения. Желаем им крепкого здоровья, благополучия, много радостей, мира и больших успехов в научной деятельности и в личной жизни.

**Тамаз Акакиевич Гванцеладзе**- академический доктор физ.-мат. наук, старший научный сотрудник сектора прикладной и экспериментальной геофизики. М.А. Гванцеладзе родился в 1940 году. В 1965 году окончил механико-математический факультет Тбилисского государственного университета. Начал работать в отделе прикладной геофизики Вычислительного центра им. Н.И. Мухелишвили. В 1977 году вместе с отделом переведен в отдел вычислительной геофизики Института геофизики на должность инженера-программиста. С 1984 года он в отделе гравиметрии, где разрабатывает методику и алгоритмы для создания гравитационной модели литосферы. В 1990 году Т.А. Гванцеладзе защищает кандидатскую диссертацию на тему: «Методика грависейсмического моделирования и строение литосферы Кавказа вдоль IX траверса». В секторе Т.А. Гванцеладзе занимается решением прямых и обратных задач гравиметрии.

**Александр Александрович Сурмава** - доктор физико-математических наук, известный специалист по вопросам физики атмосферы, геофизической экологии и мониторинга загрязнения природной среды. Родился в 1945 году. В 1963 году закончил Тбилисскую 22-ую среднюю школу с серебряной медалью, а в 1969 году – физический факультет Тбилисского государственного университета по специальности «Теоретическая физика». В 1972- 1975 годах А.А. Сурмава – аспирант Вычислительного центра Сибирского отделения АН СССР (г. Новосибирск), где и защитил кандидатскую диссертацию: «Теоретическое исследование развития атмосферных фронтальных волн». Работал в Институте гидрометеорологии АН Грузии на должностях ведущего научного

сотрудника, заведующего лабораторией. Был начальником Центра контроля загрязнения природной среды. С 1989 года А.А. Сурмава - сотрудник Института геофизики. Он занимает должность главного научного сотрудника в секторе динамики моря и моделирования атмосферы. В 2005 году защитил докторскую диссертацию на тему: «Теоретическое исследование развития среднесаибных атмосферных процессов и решение некоторых экологических задач». А.А. Сурмава разработал следующий ряд численных моделей: баротропнаяи бароклинная численные модели атмосферного фронта и атмосферных фронтальных волн; модели влияния сложного рельефа Кавказа и регионов Грузии на масштабные атмосферные процессы; модели регионального и локального переноса пыли в атмосфере Кавказа, Грузии и г. Тбилиси; модели распространения загрязняющих веществ в реках Грузии и в почве; модели рассоления почвы путем введения сорбента. А.А. Сурмава разработал статистический метод прогноза загрязнения воздуха городов Тбилиси и Рустави, который был внедрен в ГрузУГКС и с помощью которого в 1987-90 годах осуществлялся оперативный прогноз загрязнения воздуха этих городов. А.А. Сурмава автор более 120 научных работ. Он читает лекции в Тбилиском государственном университете им. Ив.Джавахишвили и в Тбилиском техническом университете.

**Дареджан Давидовна Киркитадзе** - академический доктор физико-математических наук, старший научный сотрудник сектора физики атмосферы. В 1968 году закончила физический факультет Тбилиского государственного университета по специальности «Ядерная физика». С 1968 года работает в Институте геофизики в отделе физики атмосферы. В 2005 году защитила кандидатскую диссертацию на тему; «Исследование характеристик аэрозольного загрязнения атмосферы в г. Тбилиси». В 2005-2007 гг. занимала должность ученого секретаря института. Ныне – она секретарь ученого совета Института геофизики. Сфера научной деятельности Д.Д. Киркитадзе: изучение естественных и антропогенных атмосферных характеристик и явлений в Грузии.

**Отар Шалвович Варазанаშვილი** – академический доктор физико-математических наук, ведущий научный сотрудник сектора сейсмологии, сейсмической опасности и риска катастроф. О.Ш. Варазанаშვილი родился в 1950 году в г. Тбилиси. В 1971 году окончил физический факультет Тбилиского государственного университета. С 1971 года - сотрудник отдела региональной сейсмологии Института геофизики. В течение нескольких лет руководил сейсмической станцией «Мтацминდა», принимал участие в разработке проблем прогноза землетрясений и в составлении карт сейсмического районирования. В 1973-1977 гг. прошел курс аспирантуры. В 1979 году под научным руководством известного сейсмолога и общественного деятеля Н.В. Шебалина защитил кандидатскую диссертацию на тему: «Очаговые зоны сильных землетрясений в задаче сейсмического районирования Кавказа». Затем в отделе региональной сейсмологии О.Ш. Варазанаშვილი занимал должность заведующего лабораторией сейсмической опасности. Работы, проведенные О.Ш. Варазанаშვილი, имели большое практическое значение для сельского хозяйства Грузии. Первым долгом, это детальная сейсмическая оценка некоторых городов страны; территорий, предусмотренных для строительства атомных электростанций, ГЭС-ов, водохранилищ, железнодорожных магистралей и т.д. В данное время О.Ш. Варазанаშვილი занимает должность главного научного сотрудника в секторе Сейсмологии, сейсмической опасности и риска катастроф. Им впервые разработаны теоретические вопросы подобия разных типов естественных катастроф и их параметрического унификации. В результате созданы параметрические каталоги наиболее распространенных катастроф в Грузии и произведен их расчет.

*თბუ. დ. ნოდიაშვილი. გეოფიზიკის ინსტიტუტი  
Институт геофизик им. М.З. Нодиа, ТГУ*

*მილოცვები შეადგინა ლიანა დარახველიძემ  
Поздравления составила Л.К. Дарахвелидзе.*